ერთიანად მრომელნო.

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო.

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კოსტენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო — დილის 14—76. სტამბის — დამის — 79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა. 3 ივლისი 1921 წ.

№ 99 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 99

პროფკავშირების კლენუმის სხდომა,

რომელიც ვერ შესდგა 28 ივნისს და 1 ივლისს, ქვორუმის გამოუცხადებლობის გამო, შესდგება 5 ივლისს, სამ საათს, საღამოს 6 საათზე. ფაბრკომების, ქარხკომების და ადგკომების დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1) მუშათა კოოპერატივები.
2) მოხსენება პროფკავშირების საქალაქო კონფერენციის შესახებ.
3) მოხსენება რუეთის პროფკავშირთა მე 4 ყრილობის შესახებ.
4) მასწავლებელთა კავშირზე.
5) მიმდინარე საქმეები.

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

კრიზისის დიქტატურა და ქართული კულტურა

(ორკვირეული ჟურნალის „ხელოვნების“ № 2 გამოსვლის გამო)

პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ერთია, ხოლო კულტურული კი სხვაა, ასე მსჯელობენ ჩვენში ყველა ისინი, ვინც კულტურულ ნიადაგზე მუშაობენ, (გარდა ჭეშმარიტ კომუნისტებისა, რასაკვირველია).

ალბათ ასე მსჯელობენ ჟურნალ „ხელოვნების“ (№ 2, პირველი არ მოგვსვლია) რომ საბჭოთა რესპუბლიკის შრომით და საზუალებით პოლიტარული კულტურის უარმყოფელ აზრებს ავრცელებენ.

მაგრამ ერთხელ და უკანასკნელათ უნდა განვმარტოთ მათდა საყურადღებოთ, რომ კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობასაც ისეთივე დამოკიდებულება აქვს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივთან, როგორც მისივე ნაწილთან.

მათ უნდა მოვაგონოთ, რომ კულტურული მუშაობა ეს ადამიანის სულიერ სფეროში ყოველნაირ მოღვაწეობას ნიშნავს, რა დარგისაც უნდა იყოს ეს მოღვაწეობა: მხატვრული, მეცნიერული, პოლიტიკური თუ მორალური.

ეს კიდევ ცოტაა: **პროლეტარიატის დიქტატურა** სწორეთ ამ კულტურით გამოიხატება, უმთავრესათ მასში სახიერდება.

ეკონომიურ სფეროში, ნივთიერ საფუძველზე პროლეტარიატის განთავისუფლება-გამაგრება ის მტკიცე ფუძეა, რომელზედაც შენდება ხელუქმნელი ტაძარი მომავალი პროლეტარული კულტურისა.

და აი ყოველივე, რაც ხელს უშლის ამ ტაძრის აგებას, ის პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფაა, ის საბჭოთა რესპუბლიკის ძირის გამოთხრაა.

ეკონომიკა განსაზღვრული ეპოქის შობს იმავე ეპოქის კულტურას და არა სხვა გვარს. ასე იყო წინა ეპოქაშიაც, ასე ხდება მომდინარე ეპოქაშიაც, ასე იქნება მომავალშიაც, მაშასადამე ყოვლათ უსაფუძვლოა იმაზე ლაპარაკი, თითქო ეკონომიკა სხვაა, კულტურა კი სხვა; თითქო სულიერი მუშაობა, სულიერი განწყობილება ერთია, ხოლო ნივთიერი მდგომარეობა კი სულ სხვა...

ასე მსჯელობდენ კაცთა წინათაობანი, წარსული საუკუნეების ყველა გაბატონებული კლასების ყველა იდეოლოგები. მაგრამ იმ დროიდან, როცა ისტორიულათ წარმოიშვა სრულიათ ახალი კლასი—პროლეტარიატი, როცა მისი კლასობრივი იდეოლოგიის ბუმბერაზული რკინის სიმტკიცს ლოგიკით, მისი გენიოსური მოაზროვნეს მეცნიერული კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ „შეგნება კი არ განსაზღვრავს ყოფას, არამედ პირიქით, ყოფა მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას“, ნათელი, ცხადი გახდა, რომ ზემოდასახელებული მსჯელობა სინამდვილესაც ეწინააღმდეგება და პროლეტარულ ინტერესებსაც, აშკარა შეიქნა, რომ იგი ანტიპროლეტარულია. მაშ რა ვქნათ, „რომ არ არის საშველი. ჰკრება ვარსკვლავი და ცის კამარა“... შემოგვჩენია ჩვენ ქართული კულტურის მოტრფიალენი.

მის საპასუხოთ ჩვენ ვხოლოდ ის შეგვიძლია, რომ მიუთითოთ ჩვენი მოძღვრების მეორე მთავარ დებულებაზე, რომელიც გვეუბნება: წვრილ წარმოების ხალხს (გლეხკაცობას მაგალითად) იმდენათ შეუძლია გაჰყვეს პროლეტარიატს, რამდენათაც ის შეძლებს დადგეს მის თვალსაზრისზე. რამდენათაც ის შეითვისებს პროლეტარიატის თვალსაზრისს და პრინციპს. პოლიტიკურ სფეროში ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილ წარმოების ხალხიდან გამოდიან პრენები მრავლათ, რომლებიც შედიან პროლეტარულ პარტიაში, ჰქმნიან საბჭოთა ორგანიზაციებს, საერთოდ შედიან პროლეტარიატის საბჭოთა ხელმწიფოებრივ საქმეში. იგივე ითქმის მთელ კულტურულ მოქმედება-მღვაწეობაზედაც, იგივე ხდება მთელ კულტურულ სფეროშიაც. ჩვენ გიყვართ „საქართველოს ზე და, ქართული პოეზია“?

პატრონი ბრძანდებით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მოფლიო პროლეტარიატს, მის უღრესათ გამომხატველ კომუნისტურ პარტიას „სულზე უკეთესათ“ უყვარს კომუნიზმის ბზე და პროლეტარული კულტურა.

და აი ის სულიერი გვავალებს, რომ უანგარესი სისტემატიკით და ელვის სისწრაფით ჩავჭრათ ის „მეტაფიზიკური შენდალი ფანტაზიისა, რომლის ანთებას“ ისე დუდარავთ ცდილობს ამ წერილის სათაურში მოხსენებული საღიტერატურო ჟურნალი „ხელოვნება“.

ჩვენც გვიყვარს „საქართველოს მზე და ქართული პოეზია“, მაგრამ მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც ის მეორე დიდ ბზეს, მზეს კაცობრიობისას, კომუნიზმათვს ევლება და ემსახურება.

მაშ ვასაც სურს ქართულ კულტურას ემსახუროს, ის იარაღით უნდა ემსახუროს მხოლოდ კომუნიზმს.

სარწყავი არხები.

დღეს ყველა კარგათ უნდა გრძნობდეს **გვალვის შედეგებს.** მით უფრო სგრძნობელია იმ დროს, როცა ყველგან პურის დიდი ნაკლებობაა, როცა ქალაქს მუშა და ღარიბ-ღატაკი სძაშობას განიცდიან. კიდევ უფრო საგრძნობელია ეს გვალვა გლეხკაცობისათვის, რომელიც მუდამ ეომს მიწას და ყურებს და მთელ თავის იმედებს მაზე ამყარებს.

ყველამ იცის, რომ მიწის მოსავალი, სამეურნეო წარმოება, მარტო ადამიანის შრომაზე არ არის დამოკიდებული და თითქმის არც მარტო თვით მიწის ნოყიერებაზე. აქ დიდი ზნიშნელობა აქვს **ამინდს.** დარს თუ ავდარს, წვიმიან თუ მშრალ დღეებს. ეს უკანასკნელი გარემოება კი მიწის ბუშაკზე დამოკიდებული არაა. აქ ყოველივე ბრძანდება სტიქიონის ხელშია, და მიწის მშრომელი სასიწარკვეთილებით შეყურებს ცას, როცა ცას პირი თითქო შეუკრავს და მაღლიდან ერთი ცვარიც არ ვარდება, როგორც ეს წელს იყო. თავის თავათ იგულისხმება, რომ ამ ბრძანებულების ზეგავლენის ქვეშ ადამიანი განიცდის უძველეს დროში როგორც მიელ ამიერკავკასიაში საერთოთ, ისე საქართველოშიც კერძოთ მორწყვა დიდ როლს თამაშობდა. დიდი სარწყავი არხების კვალი, რომლებიც ჩვენში ძველ დროში არსებობდენ, აქ მდის დაჩენილა. ეს ნაშთები მოწმობენ არა მარტო იმას, რომ ჟველას ადგილი ქონდა ძველ დროშიაც, არამც იმასაც, რომ ჩვენ წინაპრებს თითქმის ჩვენზე უფრო ცოდნიათ მის წინაღ დგომა. რა თქმა უნდა, ასეთი დიდ სარწყავ არხებს გაკეთებისთვის საჭირო იქნებოდა არა თუ დიდი მუშობა, არამედ დიდი ორგანიზაციის მოწყობაც. ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს ჩვენში მრქედებდა ბეტონის მთრახი, ბეტონი აძლებადა მონს, ყმას, მორჩილს წელში ოთხათ მოხრილს ემუშავნა მყინვერელი მეფის და მემამულეების სასარგებლოთ. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს დიდი სახელმწიფოები დაიშალენ და დაირღვენ და მასთან ერთად სარწყავი არხები თანდათან გვერდებენ და მივწყვას მიეცენ. შრომის მოწურმა ორგანიზაციამ ადგილი თანდათან უფრო თავისუფალ ორგანიზაციას დაუთმო. დიდი სარწყავი არხების ორგანიზაცია თხოულობდა შრომის ფრთე ორგანიზაციას, დიდი ტერიტორიის მშრომელ მასსის მჭიდროთ შეკვშირებას.

ისტორიულმა განვითარებამ მიგვიყვანა ხელახლა ასეთი სარწყავი არხების გაკეთების აუცილებლობამდე. მაგრამ დღეს მორწყვის ორგანიზაცია უნდა დაეყრდნოს სრულიად სხვა საფუძველზე. სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგას მუშების და გლეხების წარმომადგენლები, მორწყვის საქმით შესძლებს დაინტერესოს მთელი მუშათა კლასი, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ბეშები.

დღეს საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ მთავრობის წინაშე მორწყვის ორგანიზაციის საქმე დგას პირველ რიგში. კონკრეტულათ ჩვენ წინაშე დგას ტირიფონას ველის (გორის მახრა), დიღმის მინდვრების, გარეთ კახეთის და სხვა ადგილების მოსარწყავათ არხების გაყვანა. აქ ტეხნიკური ძნელათ არაფერი შეუძლებელობა არა; როგორც გამოგვცა იქნერმა ჟურნალმა, დასახელებული ადგილებისა მორწყვას გეგმები უკვე შედგენილია.

სჭიროა მხოლოდ დაუყონებლივ ამ ფრიად მნიშვნელოვანი და მეტათ სასარგებლო საქმის დაწყება, რომელსაც შეუძლია თავის ნაყოფის გამოღება თითქმის მომავალი წლიდ ან. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება მზათაა ამ დიდ საქმეს ახლავე შეუდგეს, ვინაიდან ის დარწმუნებულია იმაში, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ საქმეს ხალხის კეთილდღეობისათვის. ამისთვის საჭიროა ორი რამ: 1. საქმის მცოდნე პირები, ე. ი. სპეციალისტები ინჟინერები მთელის თავისი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილნი შეიარაღდენ და ყოველივე ეს გამოიყენონ ამ საშვილიშვილოთ საქმის დასაგვირგვინებლათ და ზღაპრული თამარის არხების მაგიერ საფუძველი დაუდვან საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ სარწყავ არხებს. 2. თვით მშრომელი მასსა, ქალაქის პროლეტარიატი და სოფლის მუშა დაინტერესდეს ამ დიდი საქმით და იმ **მონუოი ბეარის** მაგიერ, რომლის საშუალებით წინათ ქვეყნის მყოფელები და მჩაგვრელები ამუშავებდენ ხალხს, შექმნან **ნებაყოფლობითი ბეგარა,** განსტკიცებული შეგნებითი და დამყარებული სოციალიზმის საფუძველზე.

ეს იქნება საუკეთესო საშუალება მშრომელი ხალხის ტანჯვა-წვალების მოსასპობათ და ამავე დროს სოციალიზმის, სოციალისტური მეწარმეობის განსამტკიცებლათ.

ფ. მახარაძე.

პოლინტერნის მე-3 კონგრესი.

კამათი ტროცკის მოხსენების შესახებ.

მოსკოვი. 26—6 (რადიო). კომინტერნის კონგრესის მე-3 სხდომაზე, ივნისის 24 გამართა კამათი ამხ. ტროცკის მოხსენების შესახებ.

ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

პოლონეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამბობს: „მსოფლიო კრიზისი იქამდე მიიყვანა, რომ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტები არა მარტო ჰყრიან მუშებს ქუჩაში, არამედ მუშათა აქტივისტებს ფაბრიკებში აძლიერებენ და ავწროებენ მუშათა ორგანიზაციებს. შეთანხმებენი ყოველგვარ გასაჭირ მომენტებში უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში მთელი ძალღონით ბურჟუაზიას ეხმარებოდენ და ეხლა მათ წაგვლა შეუძლიათ. ბურჟუაზია მუშათა მოსყიდვას ცდილობს. იგი ეხლა გარდუვალია მცირე დაჩაგვრის საკითხით და სოციალ-განმცემლები მას ხელს უწყობენ. კომუნისტები— ეს არიან მებრძოლნი მუშათა კლასის თვით არსებობისთვის“.

კრიზისი და სამოქალაქო ომი.

ამხ. ფრაგეი ამბობს იმის შესახებ, თუ პროლეტარიატს რას მოუტანს ეკონომიური კრიზისი, რომელიც ევროპას თავს დატყდა. პროლეტარიატი სულით არ ეცემა, პირიქით სამრეწველო კრიზისის მეხოვებით, საფრანგეთის, გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის მუშებმა ძლიერი კომუნისტური პარტია დაარსეს. ინდუსელ მღარეებზე მომუშავეთა გაფიცვა და მარტის ამბოხება გერმანიაში, ეს მაჩვენებელია იმის, რომ მუშათა კლასი თავს იცავდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ხელფასის შემცირებას ცდილობდა. ბრძოლას შედეგად მოჰყვა ის, რომ მასიური კომუნისტური პარტია უფრო გარევოლიუციონერად. ინგლისში რევოლიუციისათვის პირობები გაუმჯობესდა.

დელეგატმა კლარა ცეტკინისამ ილაპარაკა კომუნისტურ პარტიის მოვალეობის შესახებ, რომ მან დაიჩაროს ამბები რევოლიუციონურ პროლეტარიატს აქტიურ გამოსვლით მასები უნდა გავარევოლიუციონეროთ, რომ შეძლებოდეს მათი ჩაბმა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ხელისუფლების მოპოვებისათვის პრძოლაში. კაპიტალისტურ სახელწიფოთა გაკოტრება რევოლუციას ნიშნავს.— გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელი კესსერი ამბობს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დღევ ნდელს გაკოტრებას თან მეორეც მოსდევს რევოლიუცია.

პროლეტარიატის ტაქტიკა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი შკპი აღნიშნავს, რომ უმუშევარნი დღევანდელ პირობებში სრულიად გაწყვრილი არიან სასიკვდილოდ. დღევანდელი კაპიტალიზმი კი დაფუძნებულია არა წარმოების გაძლიერებაზე, არამედ მოგების დროებითი ამოწურვა ზე.—იმავე პარტიის წარმომადგენელი რეხ რაგი ამტკიცებს, თუ როგორ გაუაძლარია მოგების წყაროვილი, როგორ აიძულებს ის კაპიტალს პროლეტარიატთან შეთვისებისათვის. ომის შემდეგ კაპიტალიზმმა ახალი მიმართულება მიიღო და რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა თავის მხრივ ბრძოლის ახალი ფორმები უნდა გამოიმუშავოს.—ინდოეთის დელეგატი ამხ. როი ლაპარაკობს იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ახალშენებმა მოიპოვეს ომის შემდეგ. ის აღნიშნავს კოლონიებში პროლეტარიატის რევოლიუციონური გამოსვლის საჭიროებას.

ამხ. ტროცკის საბოლოო სიტყვა.

ამხ. ტროცკიმ კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვაში სთქვა: „ბურჟუაზიასთან ბრძოლის მოსაწყობად პროლეტარიატს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფაქტების და რიცხვების სწორი აღრიცხვა. ომის შემდეგ ბურჟუაზიამ ყველგვარ განსაკუთრებული ზომებით, ქაღალდს ფულის გამოშვებით და სისხლის მეხებით აქ ნობამდე შეინარჩუნა ბატონობა, მაგრამ ყველი საქონელი, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოს ბაზარზე გამოაქვს, აუცილებლათ არღვევს სახელმწიფოს მეურნეობას. ეს მოჯადოებული წრეა ბურჟუაზიული ბატონობა. ჩვენი მიზანია განვმტკიცოთ თავდაცვის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება დღეს საბჭოთა პროლეტარიატი და გავიყოლოთ (ახ.. დამახნჯებულია) ომიანობის აღტკინების შემდეგ მთელ მსოფლიოს გზა ვნება უზომოთ გაძლეოდა. კომუნისტურმა პარტია პროლეტარიატს ხელმძღვანელობით შესაჩნევათ განსტკიცდა რევოლიუციის განვითარებისათვის დიდი ნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიულ ქვეყნებში წონასწორობის და სიმტკიცის უქონლობას. ვალუტის და სამუშაო ხელფასის საკითხი ზრდა მუშათა კლასის ცხოვრების წონასწორობას არღვევს.

გერმანიის ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში მუშები გრძნობენ, რომ მათ ყოველ საათში დახვრეტა და განადგურება მოელით. ბურჟუაზიის თარეშს ყველა გრძნობს. რევოლიუციის მკვლილობა შესაძლებელია სამი კალაპოტით, პირველი განისაზღვრება... (დამახინჯებულია). ევრობის წონასწორობით, მეორე ჩაქრის განვითარებით (ჯამტოვებულია)... რევოლუციის მესამე კალაპოტია... (გამოტოვებულია)...

მსოფლიოს სამეურნეო კრიზისისა და პროლეტარიატის დანიშნულების შესახებ კონგრესი ღებულობს ამხ. ტროცკის მიერ წარმოდგენილ სრულ ტეზისებს. ტეზისები გადეცა კომისიას, კომათის დროს წამოყენებულ წინადადებებთან შესათანხმებლათ. ერთხმად მიიღეს ამხ. რადეკის წინადადება, რომ კომისიამ გამოიმუშაოს მანიფესტი მთელ ქვეყნის პროლეტარიატს მიმართ შესახებ უხლოეს კლასიურ შეტაკებისა, ბურჟუაზიის მიერ მუშათა კლასზე თავდასხმის საპასუხოთ.

საკონტროლო ამიერკავკასიის რესპუბლიკათვის.

კონსტანტინოპოლი. 22 ივნისი (რადიო). საქართველოს რევკომის სახელზე ტფილისში მყოფ იტალიის წარმომადგენელ ფრაზოლის საშუალებით შემდეგი დეპეშა გაგზავნილი: **ა. თ. 18 ს გემი „რემიდ ფაშა“** გამოვიდა ჩვენს ნავსადგურიდან ბათუმისკენ რუსლტოლვილებით ამხ. სერებრიაკოვის განკარგულების თანხმათ. ფრანგების ხელსუფლები, კონსტანტინოპოლში თხოულობენ ნება მისცენ ფრანგებს საქართველოდან წასვლისა. მე გთხოვთ თქვენ გააკეთოთ ყველაფერი, რომ საჩქარო წესით და ყოველივე დაბრკოლების გარეშე გამოგზავნოთ ისინი გემ „რემიდ-ფაშით“.

დღეს გემმა „ივენტინო“ მანუფაქტურით და ფეხსაცმელებით დატვირთულ საგარეო ვაჭრობისათვის, დასტოვა ჩვენი ნავთსადგური, გაემართა ბათუმში. ჩვენ ვტვირთავთ 30,000 ფუთ ფქვილს და სხვა საქონელს საგარეო ვაჭრობის განკუთვნილებისათვის. გემ „სპარსეთზე“, რომელიც გამოიგზავნება სტამბოლიდან ა. თ. 23 ს. სამი დღის განმავლობაში გემი „ჯორჯია“ გაიგზავნება ფქვილით დაშაქრით დატვირთული ნავთის კომიტეტისათვის. ჩემ მიერ დადებულია ხელშეკრულება ერთ კვირაში გამოვა ბათომში დიდი გემი საქონლით 200,000 ფუთამდე, უმთავრესად ფქვილით და შაქრით. ვღებულობთ საჩქარო ზომებს ხომინდის გამოსაგზავნათ. გაეცით სასწრაფო განკარგულება ბათუმში ნავთის ნაწარმოების, ხიზილალის და აზერბაჯანის აბრეშუმის დამზადების შესახებ, რათა არ დაბანდნენ დიდ ხანს გემები ბათუმში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის გადახდა მოგვიხდება. **მოლებაძე.**

საბჭოთა რუსეთში

გრუზვროსტას დეპეშები.

მოსავალი მოსკოვის გუბერნიაში.

მოსკოვი. 12 ივნისი, მოსკოვის საგუბერნიო სასოფლო მეურნეობის საბჭოს გაფართოებული სესიის სხდომაზე აღნიშნულ იქნა თესვის კომპანიის საერთო საიმედო მდგომარეობა ყველა მაზრაში ტყუობა მოსალოდნელზე 20 25 პროც. მტის დათესვა. გვალვის გამო ძლიერ დაზიანდა ხორბლეულობის ნაწილი. გამოირკვა ისიც, რომ თესლის მოთხოვნილება ყველგან დაკმაყოფილებულ იქნა. საბოსტნე თესლის შემოტანის გეგმა 100 პროც. შესრულდა.

მუქთა მჭამლებისა და ზარმაცების გაძევება.

მოსკოვი. 26 ივნისი (რადიო) როსტოვის ასმოლოვის თემბაქოს ქარხანაში წარმოების ნაყოფიერების გაძლიერებლ დ შემოკლდა მუშა-მოსამსახურეთა შტატი. დათხვნილია სამსახურიდან ყველა ისეთი პირები, ვინც თითონ არ მუშაობდენ და სხვასაც ხელს უშლიდნენ შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: შტატის შემოკლებამდე დღურთ კეთდებოდა სამი მილიონი ცალი პაპიროსი. ეხლა კი კეთდება 5 მილიონი ცალი. მუშათა რიცხვი შემოკლებულია 40 პროცენტით წარმოება გაორმაგებულდა 43 პროც. მუ-

შათა არსებულ საერთო რიცხვიდან შედარებით წარმოება იძლევა 130 პროც.

წითელი მემაღაროვე-წითელ მხვნელ-მთესველი

მოსკოვი. 26 ივნისი (რადიო) დონის ოლქში გოროდოვის რაიონის მაღაროში გაიმართა „კვირაობა“ შემდეგი ლოზუნგით: წითელი მემაღაროე წითელ მხვნელ მთესველს მუშაობდა ერთ 300 მემაღაროე. ამოიღეს 30000 ფუთი ნახშირი.

რუსეთ-ფინეთის ურთიერთობა.

ჰელსინგფორსი. 5 ივლისი ფინეთის პრესა იუწყება, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით ავგუსტ ბესანდრი დაინიშნა ფინლანდიის საბჭოთა ატაშეთ მოსკოვში, საქმეების დროებით წარმოებულად მოსკოვში დაინიშნა გელენბეგელი.

მისალმება საფრანგეთის რკინის გზელებს

მოსკოვი. პროფესიონალურ კავშირის საერთაშორისო საბჭომ საფრანგეთის რკინის გზელებს შემდეგი მისალმების დეპეშა გაუგზავნა: ჩვენ მოგვივიდა სასიხარულო ცნობა, რომ ხმის უმრავლესობით გამოსთქვით თქვენი წინადადება ბ.ბ. ჟუოდა ბედგარეის ბურჟუაზიული და მოღალატური პოლიტიკის შესახებ. ჩვენ ეჭვი არ შეგვიძლია არაოდეს, რომ საფრანგეთის რკინის—გზელთა რევოლუციონური ინსტინქტი და კლასიური შეგნება თავისას გაიტანს. თქვენი გამარჯვება ჩვენი, მეგობრების გამარჯვებასთან ერთად მშენებელ მუშათა უკანასკნელ ყრილობაზე არის უკიდურესი სიმპტომატიური მოვლენა საფრანგეთის მთელი პროფესიონალური მოძრაობისათვის. საფრანგეთის პროლეტარიატმა მოიშორა ძველი უვარგისი ხავსი კლასთა თანამშრომლობის. მას მთლიანად ესმის, მუშათა კლასის ხსნა—რევოლუციონური პირდაპირი მოქმედება და სოციალისტური რევოლიუცია. მივესალმებით რა ახალ წევრს საერთაშორისო ოჯახის რევოლიუციონურ კლასობრივ პროფესიონალურ კავშირს, ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ შორს არაა ის დღე, როდესაც იდეა, რომელმაც გაიმარჯვა რკინის გზელთა ყრილობაზე, გახდება მთელი საფრანგეთის პროლეტარიატის იდეათ, როდესაც რევოლიუციონური ბანდა, რომელიც გამაგრდა შრომის, საერთაშორისო კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში, შერცხვენილი განიდევნება მუშათა კლასის რიგებიდან: კლასიური პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ყრილობამ უნდა ჩაუდგას ურყევი, რევოლიუციონური სიძლიერე, რომელიც წითელ ინტერნაციონალს. კონგრესს ეს შეუძლია, თუ კი ყოველ რაზში შრომის დიდი პროფესიონალური ლაშქრის, როგორც ეს თქვენ მოიმოქმედეთ, იქნებიან დამდგარნი ისტორიულ მოვლენათა სიმაღლეზე. მხურვალე სალამი და ძმური სურვილები.

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს.

საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

კრიზისი ინგლისში.

მოსკოვი. 12 ივნისი. წარმოების კრიზისი ინგლისში ღრმავდება. უმუშევართა რიცხვმა 5 ნ ხევარ მილიონამდე მიაღწია: ნახშირის წარმოებაში ითვლება 1, 2 მილიონი, ბამბეულობის—600,000 საქსოვის—250 ათასი მუშა და სხვა.

კრიზისი ევროპაში.

ლიონი. 5 ივნისი. (რადიო). დასაწყისი არ არის მიღებული). ქალები და ბავშვები მუშაობდნენ ფეხსაცმელები, მხოლოდ გერმანელთა სოფლებში ვნახე კარგად ჩაცმული ხალხი. საფრანგეთის ქარხნები დანგრეულია, მაშინ როცა გერმანიაში ყველა ფაბრიკები მუშაობენ. კელნში მე გავიგონე საკრებულო ტაძრის ზარის ხმა, საშინლად დაზიანებულ რეიმის ტაძრის გარშემო კი მყუდრობს სამარისებური სიჩუმე. გნა შესაძლებელია იმის დავიწყება, რაც ვნახე. ექიმი დიკსტონი შემდეგ აღნიშნავს, რომ არ შეიძლება საფრანგეთის და ამერიკის ჯარების განიარაღება, სანამ გერმანია საბოლოოთ არ დათანხმდება ზამართლიან ვალდებულებათა ასრულებას და სანამ არ გადაიხდის თავის ვალებს.

მცხოვრებლები საფრანგეთში.

პარიზი. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც მარტში მოხდა. საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვი მილიონ ნახევრით შემცირდა, ელზას ლოტარინგიის შემოერთების მიუხედავათ.

ვერ შეთანხმდენ.

ნაუენი. 24—6. (რადიო). მიუხედავათ ბრიანის მტკიცებისა იმის შესახებ, რომ ინგლისის თვალსაზრისი ზემო-სილეზიის საკითხში დაუახლოვდა ფრანგებისასო, ინგლისის პრესა ამტკიცებს, რომ ბრიანისა და კერზონის შეხვედრისას არავითარი შეთანხმება არ მომხდარა.

კანონ გარეშე გამოცხადება კომუნისტებისა.

პარიზი. ბულგარეთის სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტია კანონ გარეშე იქნება გამოცხადებული და მათი პროპაგანდის წინააღმდეგ მიღებულ იქნება სასტიკი ზომები. კომუნისტური პარტიის ორგანოს „მუშათა უწყების“ გამოცემა შეწყდა, რადგან შავ რაზმელებმა სტამბა დაწვეს.

გერმანიის ჰაეროპლანების სექვესტრი.

ნაუენი— 23 ივნისი (რადიო). ელჩთა კონფერენციამ მოითხოვა გერმანიისაგან ყველა ჰაეროპლანების სექვესტრი, რომელიც გამოუშვეს ქარხნიდან ბულონის კონფერენციის შემდეგ. ანტანტა მოითხოვს ყველა ჰაეროპლანების გადაცემას, რომლებიც ომის დროს გამოიგება.

წეს-რიგი ზემო სილეზიაში.

ნაუენი. 24 ივნისი (რადიო). შვეიცარიის პრესა აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა კომისიას არაფერი არ გაუკეთებია ზემო სილეზიაში წესიერების დასამყარებლათ. უბრალო ადამიანობა მოითხოვს პოლონეთის ძალმომრეობის მოსპობას: იმავე პრესის ცნობით, გლუვიცსა და ვეიტენიდან მიღებულია ახალი ცნობები პოლონელების მიერ სიმხეცის ჩადენის შესახებ: პოლონელები ფრანგ ჯარის კაცების თვალ წინ სცარცავდნენ და ანგრევენ სახლებს.

ჯიოლიტი და ლაბრიოლა.

ნაუენი. 23 ივნისი (რადიო). სერიოზულ შეტაკების გამო (დამახინჯებულია).

2½ ინტერნაციონალის დაარსება.

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 98).

II ინტერნაციონალური ცენტრი.

აქ სრულიად ზედმეტია დავწვრილებით აღვნიშნოთ გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ისტორია. უხდა გავიხსენოთ მხოლოდ რამდენიმე მომენტი, ის აღმოცენდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძველ რადიკალურ ფრთის კაუცკის და მისმარჯვენე რადიკალების განხეთქილების ხანაში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შემადგენლობაში იყვნენ, მის მიერ პირველად გაკეთებულ საქმეს შეადგენდა: იმპერიალიზმის რეფორმის შეუძლებლობაზე პაციფისტური ილუზიების გაერცელება, უარყოფა ომის საფრთხისა და კაპიტალისტურ რეაქციის ზრდის საწინააღმდეგო მასიურ პროტესტის გამოსაცხ დებლათ პროპაგანდა აგიტაციის გაწყვეტისა და არჩევნების კამპანიაში 1912 წელს ლიბერალების ჯგუფთან მხარის დაჭერა. (შეიდემანსა და ებერტთან ერთად). როდესაც იფეთქა ომმა ახლანდელ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა, სოციალ-პატრიოტების პლატფორმაზე იდგენ. როდესაც შემდეგ მუშათა წრეების გავლენით შეიცვა სოციალ-პატრიოტიზმისა და იმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე, ის მაინც ცარიელი პროტესტით კმაყოფილდებოდა. გერმანიის რევოლუციამ რომ თავი იჩინა მან შეიდემანსა და ებერტთან ერთად შეადგინა მთავრობა, რომლის მოღვაწეობის პირველ აქტათ კერძო საკუთრების ხელშეკრულობის გამოცხადება იყო, ის შეეცდა პრიბალტიკაში პირველ თეთრ გვარდიის შედგენას და გამოაცხადა საჯაროთ რომ ის წინააღმდეგია დიქტატურისა და სდგას დემოკრატიის გზაზე. როდესაც ასეთი პოლიტიკის შედეგებისათვის ის გამოაძევეს მთავრობისაგან, რათა სოციალ-პატრიოტებს საშუალება ჩონდათ ბურჟუაზიასთან კავშირის დაკავებისა, როდესაც მუშათა მასების ბრძოლა იმდენათ გამწვავდა, რომ დამოუკიდებელი მებრძოლი მუშები დემოკრატიულ მთავრობის თეთრ გვარდიელებმა ოხვრიტეს და მუშებმა დაიწყეს ყვირილი პროლეტარიატის დიქტატურაზე, მაშინ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ მოიწვია პარტიის განვითარების შეჩერება და გადისრულა მუშათა მასაში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შემთხმებელი კომპრომისის იდეია, იდეია მეშათა საბჭოების ნასკეს კონსტიტუციაში შეტანისა. როდესაც მუშებმა ეს ბრწყინვალე იდეია გულგრილად მიიღეს, მას გვერდი ჩაუარეს და დაადგინეს პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე, მაშინ დამოუკიდებელთა მებრძოლნი ბელადებმა ხელი წაატანეს ამ იდეას იმ მოსაზრებით რომ მუშათა მასა თავის წრეში დაეკავებინათ. მაგრამ ამასთანავე ლეიპციგის პარტიტაგში ამ დამოუკიდებელმა გამოაცხადეს რომ ჩვენ გადაწყვეტით წინააღმდეგი ვართ ტერორისა ე. ი. მუშათა დიქტატურის საფასებით დაცვისა.

საფრანგეთში ლონგეს მომხრეებმა ომის დროს შექმნეს გერმანიის დამოუკიდებელთა ძალზე შემსუბუქებული ასლი. ისინი მთელი ომის განმავლობაში არამც თუ მხარს უჭერდენ სამხედრო კრედიტებს, არამედ ცდილობდენ დაემტკიცებინათ საფრანგეთის მხრივ ეს ომი როგორც თავდაცვის ომი. ომის მიზნათ გამოაცხადეს დემოკრატიის დაცვა და სავსებით თავი დაბარეს უკიდურეს პაციფიზმის წინაშე. მთელი ომის განმავლობაში იმათ არ გამოუციათ არც ერთი არა ლეგალური ფურცელი და არ წარმოუთქვამთ პარლამენტში არც ერთი რევოლიუციონური სიტყვა. მათი ოპოზიცია საფრანგეთის ბურჟუაზიის პოლიტიკისა და სოციალ-პატრიოტების წინააღმდეგ იმაში გამოიხატებოდა მხოლოდ, რომ გამოსთქვეს სურვილი გერმანიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისა და ომის მიზნების ფალსიფიკაციისათვის, რომელსაც იმპერიალისტები ახდენდა, პროტესტი განაცხადეს. როდესაც ანტანტა საფრანგეთის მეთაურობით შეუდგა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომს, როდესაც საბჭოთა რუსეთის გმირულმა ბრძოლამ თანდათანობით მოიპოვა თანაგრძობა მუშათა მასებში და როდესაც მუშათა მასებმა გაბედულათ და გადაწყვეტილათ გამოსთქვეს თავისი აზრი პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოდ, მაშინ ლონგეს მომხრეებს არ შეეძლოთ არ დაეცვათ საბჭოთა რუსეთი. საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის საწინააღმდეგოთ იმათ წამოაყენეს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის იდეალიზაცია. ყველა ის საბუთები რაც დღეს კონტრ-რევოლიუციას აქვს რუსეთის რევოლიუციის საწინააღმდეგოთ თავის დროზე ქონდა საფრანგეთის ფეოდალურ კონტრ-რევოლიუციას მისივე რევოლიუციის საწინააღმდეგოთ. ამ გზით ჟან ლონგე და მისი მომხრეები მივიდენ პროლეტარიატის დიქტატურის ცნობამდი. და ცხადია ძველ ბურჟუაზიულ დემოკრატიისა, და ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის გარყვნილების სახელმწიფოში და იქ სადაც მუშათა კლასმა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან და პარლამენტარიზმთან ბრძოლის ხანაში შექმნა, სინდიკალისტური თეორია, რომელიც სოციალურ რევოლიუციის განხორციელების უმთავრეს

საკრთ. ფარმ. პროფკავშირების კონფერენცია.

მისალმებანი.

მოსკოვი. პროფკავშირთა ს ერთაშო რისო საბჭოს.

საქართველოს პროფკავშირთა პირველი თავისუფალი კონფერენცია იწყებს რა ახალგაზრდა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის პროფესიალურ მწარმოებელ ძმობენებლობას, უგზავნის გულწრფელ სალამს საერთაშორისო პროლეტარიატის წითელ მსოფლიო გაერთიანებას.

ანტანტის და მის ერთგულ მონების, შემთანხმებელ, მენშევიკების უღლისგან განთავისუფლებული საქართველოს მუშათა კლასი, დარწმუნებულია რა სოციალურ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებაში, მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად მიიღებს მონაწილეობას გადამწყვეტ ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მტაცებელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ინგლისის მაღაროელებს.

საქართველოს პროლეტარიატი, რომელმაც ეხლახან ჩაიგდო თავის ხელში ძალა-უფლება დ მძიმე ტანჯვაში ჰქმნის რა ახალს, უკეთესს ხაძველ თანასწორობის და ძმობის ქვეყანას, შეკრებილ თავის საქართველოს წარმოებით პროფკავშირების პირველ საერთო კონფერენციაზე, მისალმება გმირ მაღაროელთ, რომელნიც დიდის სიმედგრით აწარმოებენ ბრძოლას მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად. ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ინგლისელ მაღაროელები შემდეგ, განთავისუფლდება რა სოციალ განცდლობის ბოროტ შეთანხმების სიბრუ სგან, მთელი ინგლისის პროლეტარიატი დაადგება სამოქალაქო ომის გზას და თავის კლასობრივ დიქტატურის საშუალებით, კაცობრიობას გამოიყვანს პროგრესის და კულტურის გზაზე. ამხანაგო მუშებო, იცოდეთ, რომ საქართველოს მუშების საუკეთესო აზრები და მოლოდინი, ამ საათში თქვენთან არის. ჩვენ

თვალყურს ვადევნებთ თქვენ ბრძოლას და დარწმუნებული ვართ, რომ დღეს თუ არა ხვალ, მოქანცულ მაღაროელთ მიეშველება მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, რათა აღმოგიჩინოთ თქვენ შეაძლო პროლეტარული მატერიალური დახმარება; კონფერენციამ დაავალა თავის საბჭოს მოკლე ხანში გამონახოს საამისო საშუალებანი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძმური სოლიდარობა გაგამხნევებთ თქვენ ახალ და ახალ გამარჯვებისთვის, რომელიც საკვდილო ლახვარსა სცემს ბურჟუაზიას. გაუმარჯოს ინგლისის მაღაროელთ. გაუმარჯოს ინგლისის მუშათა კლასს, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

საქართველოს წითელ არმიას.

საბჭოს სოციალისტურ საქართველოს პროფკავშირების პირველ ყრილობა, შეუდგა რა თავისს საძნელო სამეურნეო ორგანიზაციულ მუშაობას ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა ქვეყანაში, მხურვალედ მიესალმება საქართველოს სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკის ცოცხალ კედელს, საქართველოს რევოლიუციონურ წითელ არმიას; მივდივართ რა ფენ და ფენ, მხარ და მხარ რუსეთის უძლეველ წითელ არმიასა და პროლეტარიატთან ერთად, ჩვენ შრომის მიერ კაპიტალის წინააღმდეგ დაწყებულ გადამწყვეტ ბრძოლას მივუყვახთ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სრულ გამარჯვებამდის მსოფლიოს იმპერიალიზმზე და ბურჟუაზიაზე. გაუმარჯოს რუსეთის და საქართველოს წითელ არმიების ძურ ერთობას, გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

რუსეთის წითელ არმიას.

საქართველოს პროფკავშირების პირველი თავისუფალი ყრილობა, შეუდგა რა თავის ნუშაობას, მხურვალედ მიესალმება თავის განმანთავისუფლებელს ანტანტის და მენშევიკების უღლიდან უძლეველ და სახელოვან ძმურ რუსეთის წითელ არმიას. ჩვენი ბუმბერაზი წითელ არმიელნო, იყავით მიუდგომელნი მტაცებელ ბურჟუაზიისათვის კაპიტალისგან დაბეჩავებულ და ტანჯულ მშრომელთა სიმაგრეთ. შრომის არმიის საბოლოო გამარჯვება ისტორიის მიერ უზრუნველყოფილია. საქართველოს თავისუფალი მუშათა კლასი შეუდგა გადამწყვეტ ბრძოლას, თქვენთან ერთად პროლეტარულ რევოლიუციის სრულ გამარჯვებისთვის 3 კომუნ. ინტერნაციონალის წითელ დროშის ქვეშ. გაუმარჯოს სახელოვან უძლეველ რუსეთის წითელ არმიას, გაუმარჯოს კომუნიზმს.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

სოციალისტურ საქართველოს პროფკავშირთა თავისუფალი კონფერენცია, შეუდგა რა პრაქტიკულ განხორციელებას პროფკავშირთა ორგანიზაციულ წარმოებითი მიზნებისა, უგზავნის მხურვალე პროლეტარულ სალამს რუსეთის მუშათა უმაღლეს ორგანოს ს. რ. პ. კ. ს. და გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ მთელი ქვეყნის და საბჭოთა ძმურ რესპუბლიკების მუშათა გაერთიანებულ ძალონით საბოლოოდ დაიმხობა მსოფლიო კაპიტალი და გაიმარჯვებს მუშათა კლასის ბატონობის იდეა, რომელსაც მივყევართ კომუნიზმის ნათელ სამეფოში. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის წითელ პროფკავშირებს. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ამხ. ლენინს.

ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლის შემდეგ მუშების და მშრომელ გლეხების მენშევიკების მხრივ ხანგრძლივ ქირდვის შემდეგ, საქართველოს პროლეტარიატს საბოლოოდ აქვს საშუალება თავისუფლად შეიკრიბოს პროფკავშირთა პირველ თავისუფალ კონფერენციაზე. ამით დავალებულნი ვართ თქვენით, როგორც მსოფლიო რევოლიუციის ბელადით. შევუდექით რა პრაქტიკულ განხორციელებას პროფწარმოებითი კავშირთა მესამეთ ევროპის ცენტრთან კავშირში ინგლისის დამოუკიდებული მუშათა პარტია იყო. ის აღმოცენდა როგორც ოპორტუნისტული რეაქცია გაინდმანის მკვდარ რადიკალიზმის საწინააღმდეგოთ, რომელსაც არ შეუძლია სოციალური რევოლიუციის იდეია პროლეტარიატის პრაქტიკულ ბრძოლას გადაებას. გაინდმანის მარქსიზმის წინააღმდეგ მან წამოაყენა ინგლის საქსონიის დაჩლუნგებული ემპირიზმი და რელიგიის სახით შეფერილი სურვილი რეფორმებისათვის ბრძოლისა. უკანასკნელმა გარემოებამ მის გარშემო შეიკრიბა, ცოცხალი და ბრძოლას მოწყურებული, მაგრამ შეუგნებელ პროლეტარიატის ნაწილი. დამოუკიდებულ მუშათა პარტიის პაციფიზმმა მისა და მცირე ინგლისის სავაჭრო ლიბერალურ ბურჟუაზიის იდეებს შუა ხიდი გასდვა. იმედი ქონდათ მსოფლიოს მოგებას ამ გზით უფრო შეიარაღებდნენ, ვიდრე ომით. როდესაც იფეთქა დიდმა მსოფლიო ომმა ინგლისის ლიბერალებმა ალარ იცოდნენ რა ექნათ: ომში მიეღოთ მონაწილეობა თუ წინააღმდეგ წასულყვნენ. იმ ფრთას რომელსაც ყავდა მთავრობაში სიმონი, ტრეველიანი და ჯონბერსი ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადი მაკდონალდი და ვინაიდან მას თვისი იდეია მუშებისადმი მიმართებაში უფრო ძლიერათ და რადიკალურათ უნდა გამოეთქვა, ამიტომაც იმის შემდეგ მას არ ქონდა საშუალება რომ თავისი პოლიტიკა შეეცვალა. პარტიამ ომის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიცია დაიკავა და პრაქტიკულად ამ ბრძოლაში გამწვავება შექონდა ორ ელემენტს. წმინდა რევოლიუციონურ პროლეტართა ელემენტებს, რომელნიც ომის წინააღმდეგი იყვნენ, იმიტომ რომ ის კაპიტალისტური იყო და კვაკერთა მესამეთ ევროპის ცენტრთან კავშირში ინგლისის დამოუკიდებული მუშათა პარტია იყო. ის აღმოცენდა როგორც ოპორტუნისტული რეაქცია გაინდმანის მკვდარ რადიკალიზმის საწინააღმდეგოთ, რომელსაც არ შეუძლია სოციალური რევოლიუციის იდეია პროლეტარიატის პრაქტიკულ ბრძოლას გადაებას. გაინდმანის მარქსიზმის წინააღმდეგ მან წამოაყენა ინგლის საქსონიის დაჩლუნგებული ემპირიზმი და რელიგიის სახით შეფერილი სურვილი რეფორმებისათვის ბრძოლისა. უკანასკნელმა გარემოებამ მის გარშემო შეიკრიბა, ცოცხალი და ბრძოლას მოწყურებული, მაგრამ შეუგნებელ პროლეტარიატის ნაწილი. დამოუკიდებულ მუშათა პარტიის პაციფიზმმა მისა და მცირე ინგლისის სავაჭრო ლიბერალურ ბურჟუაზიის იდეებს შუა ხიდი გასდვა. იმედი ქონდათ მსოფლიოს მოგებას ამ გზით უფრო შეიარაღებდნენ, ვიდრე ომით. როდესაც იფეთქა დიდმა მსოფლიო ომმა ინგლისის ლიბერალებმა ალარ იცოდნენ რა ექნათ: ომში მიეღოთ მონაწილეობა თუ წინააღმდეგ წასულყვნენ. იმ ფრთას რომელსაც ყავდა მთავრობაში სიმონი, ტრეველიანი და ჯონბერსი ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადი მაკდონალდი და ვინაიდან მას თვისი იდეია მუშებისადმი მიმართებაში უფრო ძლიერათ და რადიკალურათ უნდა გამოეთქვა, ამიტომაც იმის შემდეგ მას არ ქონდა საშუალება რომ თავისი პოლიტიკა შეეცვალა. პარტიამ ომის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიცია დაიკავა და პრაქტიკულად ამ ბრძოლაში გამწვავება შექონდა ორ ელემენტს. წმინდა რევოლიუციონურ პროლეტართა ელემენტებს, რომელნიც ომის წინააღმდეგი იყვნენ, იმიტომ რომ ის კაპიტალისტური იყო და კვაკერთა

მოგვავლისაკენ.

„ბევრჯელ წამიც კი ბედნიერების
ტანჯულ სიცოცხლეს ვხედავ სულიერს
და მეც მომავალ ბედნიერებას
წუთის სიცოცხლეს მივუძღვნიდი.
მე წუთს ვჯერდები და მომავალი
გადამიგდია ქუჩის საჩუქრათ;
მე იმას ვიღარ დავველოდები
სხვამ იქნეფოს მასზე საკუთრათ,
აწმყოს ვერ გავცვლი იმ მომავალში.
მე მომავლისთვის წუთს არ გავყიდი;
ასე მსურს, ასე გად წყვეტილათ
და არ ვინანებ თუკი მოვკუდი“...
ასე ამბობდა მშიერი მუშა
ძალზე გამხდარი, გაყვითლებული
და მას პასუხათ მიგავსიენ მუშა
გაეკამათა აღელვებული:
„როს ხელს ჰკიდებდი ძალა-უფლებას,
შენივე ოფლის შენავე სუფრას,
დღეს არჩევანი შენავ ხელშია
და რას იხილავ ამაზე ტურფას!
შექმენი რაც გსურს და შენც გექნება:
რაკ არ გითესავს, რას მოიმკიდი!
მანამ კი გმართებს: ჯერ მოთმინება,
და შორს არ არის ის გზა და ხიდი,
რომელსაც განვლი ამ გაჭირვებით,
მით შეასრულებ უდიდეს სურვილს,
როგორც შენ, ისე შენებრ ტანჯულებს
სამარადისოთ მოუკლავ წყურვილს!
ნუ შეგაშინებს ზოგჯერ სიმშილი,
ზოგჯერ სიცივე და გაჭირება
მტკიცე იყავი მტკიცე მიზნისთვის,
მით შეისრულე ბედნიერება ..

ტ ხ—ძე.

ჰო, ცოტა კიდევ...

ჰო, ცოტა კიდევ, კიდევ ცოტა და მოთმინება,
მალე სულ მალე თავს დავიდგამთ იმედის კარავს;
გავლილ სირწყარეს—შვების სხივი გადეფინება,—
და წყლულს გულისას—მომავალის შუქი დაფარავს...

ჰო, ვხედავთ ჭუჭებს და მასზე კი ფერმკრთალ სახეებს,—
ნაღვლიან თვალით გასცქერიან ნუგეშათ ხვალეს,
სიმშილის რკალში აღამებენ ზაფხულის დღეებს.
მწირი სიცოცხლე წუთისოფლის ჩირად ჩასთვალეს.

მაგრამ ჰა, შეხეთ მებრძოლ მუშის მტკიცე ურყევ გულს,
სულის სიმაღლეს, რომ ბრბოს ჭორებს არ ისმენს ყურში,
მსხვერპლად შესწირავს კვლავ სიცოცხლეს ტურფა გაზაფხულს,
და როდი გასცვლის თვის იდეას გირვანქა პურში...

ჰო, ცოტა კიდევ, კიდევ ცოტა და მოთმინება,
მალე სულ მალე თავს დავიდგამთ იმედის კარავს;
გავლილ სიმწარეს—შვების სხივი გადეფინება,—
და წყლულს გულისას—მომავალის შუქი დაფარავს!..

25 ივნისი 1921 წ. იონა ვაკელი.

მიზნებისას, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენგ ნ შორს მყოფი, მაგრამ სულით ახლო, დიდ მასწავლებლის, მსოფლიო რევოლიუციის ბელადის ხელმძღვანელობით, თქვენი ხელმძღვანელობით, ამხ. ლენინო, საქართველოს პროლეტარიატი, ისარგებლებს რა თქვენი ცოდნით, ჩვენით და გამოცდილობით, საბჭოთა რესპუბლიკებთან დაკავშირებული, მტკიცედ გაეშურება თავის საბოლოო მიზნისაკენ—სოციალიზმისაკენ. გესალმებით რა საქართველოს ორგანიზაციულ მუშათა სახელით, ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ შემდეგშიაც არ დაგვტოვებთ თქვენი ჭკვიანურ ხელმძღვანელობის გარეშე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 30.

თბილისის რევოლიუციონური კომიტეტისა.

1 ივლისი 1921 წ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღეებში იყო შემთხვევები თბილისიდან გაქცეულ მოქალაქეთა ბინებში სხვების ჩასახლებისა, სათანადო ნებართვის გარეშე; ბინების მოწყობილობა და ყოველგვარი მოძრავი ქონება გადავიდა ჩასახლებულთა განკარგულებაში, შესაფერი აღწერილობა შედგენილი არ ყოფილა. ჩასახლებულთ დღევანდლამდე არ წარმოუდგენიათ აღწერა მათ განკარგულებაში გადასულ ქონებისა, რომელიც წარმოადგენს სახალხო კუთვნილებას და არ შეიძლება ვინმეს კერძო საკუთრებ დ გახდეს. არსებული ცნობებით ზოგიერთ შემთხვევაში ხდება დასახლებულ ქონების დატაცება უპასუხისმგებლო პირების მიერ.

ამგვარ მოვლენების ასაცილებლად და ხალხის ქონების აღსარიცხავად წინადადება ეძლევა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დაწესებულებათა ყველა თანამშრომლებს, დამოუკიდებლად მათი სასამსახურო და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, და აგრედვე კერძო პირებს, წარმოადგინონ საბინაო განყოფილების საადგილო სექციაში, ამ ბრძანების გამოცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მორწმუნე ელემენტებს, რომლებიც ომის წინააღმდეგ იმიტომ იყვნენ რომ ამ ომს ღმერთისა და ადამიანთა წინაშე ცოდვათ სთვლიდნენ, ომის დროს ეს ორი ელემენტები შეერთდნენ და პარტია იქამდი მიიყვანეს რომ კაპიტალისტური სამშობლოს დაცვაზე უარი ათქმევინეს.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მომხრეები ინგლისში ომის დროს მასიურ დემონსტრაციებში არამც თუ მონაწილეობას ღებულობდნენ, არამედ თავის პარტიის კერძო პიროვნებათ სდევნიდნენ იმიტომ რომ ისინი თავის სინდისს კარნახს მიყვებოდნენ და ომში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. როდესაც ომის შემდეგ 1918 წ. ლიბერალურ კონსერვატიულ კოალიციამ არჩევნებში გაიმარჯვა და კვლავ დაიწყო მასიური დემონსტრაციები, მაშინ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთა ალენ კლიფორდისა და ნიუმალდის მეთაურობით თანდათანობით მივიდნენ კომუნიზმამდი, მაშინ როდესაც მემარჯვენე ფრთა მაკდონალდისა და სნოუდენის მეთაურობით მუშათა პარტიის გამარჯვების ასკვიტის ყალიბის მემარცხენე ლიბერალებთან ბლოკში სპეკულიაციის საგანათ იყენებდა, მათ შუა სდგას პარტიის ცენტრი უოლხედის მეთაურობით, რომლის აგიტატორობასა და ორგანიზატორებას არავითარი დადებითი მომართულება არა აქვს. მემარცხენე ფრთის მოვლენით მას ოფიციალურად უნდა ეცნა რევოლიუციის იდეია, მაგრამ ვინაიდან მას პარტიის ძველ გამოჩენილ ბელადებისადმი კავშირის გაწყვეტა არ უნდოდა, ის იმიტომ ვერც თავს დააბეზღვდა თავის ორმაგ პოლიტიკას. მაკდონალდი და, სნოუდენი კი ემზადებიან რომ ითამაშონ დემოკრატიულ ინგლისის პროლეტარულ რევოლუციისაგან დამცველთა როლი. ისინი სარგებლობენ დამოუკიდებელ მუშათა პარტიით იმისათვის, რომ მომავალში ძალა უფლება გაუზიარონ პროფესიონალურ ბიუროკრატიის ლიბერალებსა და ნახევართ ლიბერალებს გენდერსონებსა და თომასებს.

ცენტრის ამ სამ პარტიის გარშემო თავს იყრის ასეთივე ელემენტები სხვა სახელმწიფოებშიაც. მაგალითად შვეიცარიის სოციალდემოკრატიის ბელადი როგორც არის ენერგიული მოღვაწე რობერტ გრიმი თავის განვითარებული ყნოსვით ის გრძნობს რომ უნდა გ ნმეორებულ იქნას ის რასაც ლაპარაკობენ დედა ქალაქის რადიკალურათ განწყობილი მასები, მაგრამ არც ძველ ბელადებთან კავშირის გაწყვეტა უნდათ, რომლებიც შვეიცარიის პროლეტარიატის სახელით შვეიცარიის ბურჟუაზიას პოლიციისა და ფინანსების დირექტორის თანამდებობაზე საკანდიდატო პირებს აძლევენ. ამგვარათვე, ავსტრიის სოციალდემოკრატების ბელადებმა ადლერმა და ოტო ბაუერებმა მიიღეს მონაწილეობა მთავრობაში რენერსხაიტსა და ქრისტიან სოციალისტებთან ერთად,—რომლებიც ასეთ კოალიციაში ხედავდენ პროლეტარიატის ხსნას, იმათ კოალიციით უნდოდათ დახმარებოდენ ანტანტას, კოალიციის გამო უოლალტეს უნგრეთის რევოლუციას და ახლა როდესაც კოალიცია დაირღვა, როდესაც პროლეტარიატის გაპარვება წარმოუდგენელათ გაიზარდა, ესვრიან ამ პროლეტარიატს რადიკალურ ლოზუნგებს. ეს სრული გაგრძელებაა მათის წარსულის. ომამდინაც ეტმასნებოდენ ისინი მარქსისტულ თეორიას ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ ოპორტუნისტურ პოლიტიკის გაზიარებით. ომის დროს ფრიდრიხ ადლერმა გაბედა ბრძოლის გამოცხადება სამეფო სამპერატორო სოციალ დემოკრატიის პროლეტარიატისადმი უსინდისო ღალატის საწინააღმდეგოთ, ისიც მხოლოდ პარტიის დახურულ კრებაზე.

მისი გამლეტიზმი ისე შორს წავიდა რომ პოლიტიკურ მშიშრობიდან ის პირად გმირად გადიქცა და რევოლვერი ესროლა შტიურკას, იმიტომ რომ მას ვერ გადეწყვიტა თავის პარტიის წინააღმდეგ აჯანყება. ავსტრიის რევოლიუციის მომენტიდან კი ორივე ფრთა ორმაგ თამაშობიას თამაშობდენ. იმ დროს როდესაც ფრიდრიხ ადლერი როგორც თავმჯდომარე ავსტრიის საიმპერიო ნემეც მუშათა საბჭოსი გამოხატავ და ავსტრიის პროლეტარულ რევოლიუციის მომავალ მარატს თავის სახეში და მით ხელ უშლიდა მუშათა კლასს თავისი უმაყოფილება საქმით გამოეხატა ოტო-ბაუერი სოციალ-დემოკრატიულსა და ქრისტიან სოციალისტურ მთავრობაში ტალერიანის როლს თამაშობდა და ანტანტურ ბროშურებში ავსტრიის დამშეულ მუშებს გამარჯვებულ სახელმწიფოებში მსოფლიო რევოლიუციის მოახლოებით ამშვიდებდა. ახლა როდესაც სოციალ დემოკრატია მთავრობიდან გაქრა ისინი ინტერნაციონალისტ რევოლიუციონერთა როლს თამაშობენ. ოტო-ბაუერი რომელიც თავის ბროშურაში სათაურით, ბოლშევიზმი თუ სოციალ-დემოკრატია, იძლევა ინტერნაციონალის ცენტრის თეორიას და ფრიდრიხ ადლერი, რომელიც ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ დორბლ-მორეული ამტკიცებდა რომ ინტერნაციონალის დაარსებაზე ფიქრი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი როდესაც მუშათა კლასში განხეთქილების გამომწვევი წინააღმდეგობანი მოისპობაო, ორივე ესენი ახლა სათავეში უდგიან ინტერნაციონალურ ცენტრის გაერთიანებას.

და თითქოს განგებ რომ უფრო აშკარად დაეანახვონ ყველას თუ რა იქნება ეს ინტერნაციონალი მის დამაარსებელთა შოროს გამოყავთ რუსი მენშევიკებიც. ომის დროს, რუსეთის რევოლუციამდე, რუსეთის მენშევიკთა ინტერნაციონალისტების ჯგუფი მარტოვის მეთაურობით, რომელსაც არავითარი გავლენა არ ქონდა, გამოეთიშა პარტიას, და ბოლოს ციმერვალდში ღებულობდა მონაწილეობას. პარტიის უმრავლესობა კი მონაწილეობდა სამხედრო საარეწველო კომიტეტებში და ჩვენთან მოდიოდენ როგორც პარლამენტის ფრაქციის შუამავალნი. როდესაც იფეთქა რევოლიუციამ მენშევიკთა უმრავლესობა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პლატფორმის დაცვის ნიად გზე დადგნენ. ისინი ღებულობდენ ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობას და აბრკოლებდენ პროლეტარიატის ძალა უფლების დამყარებისათვის ბრძოლას. მენშევიკია უმცირესობა აღელვებული იყო თავის პარტიულ ამხანაგთა ასეთ გაცურ და მოღალატურ პოლიტიკის გამო, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა პარტიიდან გამოსვლა. როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა დაამხო კერენსკის მთავრობა მაშინ მენშევიკთა პარტიის უმცირესობამ შეუერთდა უმრავლესობას მუშათა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლას ზოგიერთები, როგორც მაგალითად მარტოვი პრინციპიალურ ნიადაგზე აწარმოებდენ და სხვები მრავალნი კი იძულებით ხელში კონტრევოლიუციის ბანაკიდან გვებრძოდენ. მენშევიკები მარტოვის მეთაურობით პროლეტარულ საბჭოთა რუსეთს მეფის რუსეთს უწოდებდენ. მაგრამ იმ მომენტებში, როდესაც კონტრევოლიუციის საფრთხე აღიმართებოდა ისინი მოუწოდებდენ მასებს საბჭოთა მთავრობისა და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისაკენ. როდესაც რუსეთის პროლეტარიატი ებრძოდა ბურჟუაზიულ მთავრობას ისინი რუსეთში სოციალიზმის განხორციელებას რომანტიკათ სთვლიდენ. პროლეტარიატის დიქტატურას პირველ თვეებში მათი პრესა კაპიტალიზმის დაბრუნებას თხოულობდა. ისინი ახლა ზომიერ სოციალიზმს თხოულობდენ თუმცა არ იძლევიან განმარტებას თუ რას წარმოადგენს ასეთი სოციალიზმი. მენშევიკების პარტია, რომლის ისტორიაც ჩვენ აქ გაკვრით აღვნიშნეთ ინტერნაციონალური ცენტრის საყვარელი პირმშო შვილია. ამ პარტიის ბედით საბჭოთა რუსეთში ამტკიცებენ კომუნიზმის სიმკაცრეს რომელიც თითქო დაუნდობლათ ანარცხებს და სდევნის სოციალისტურ პარტიასაც კი. ეჭვი არაა ამ პარტიის ბედი მთელ ცენტრისათვის დიდათ საგულისხმიეროა. პარტიას, რომელიც სარგებლობდა ბურჟუაზიულ მთავრობის შეწყალებით და დახმარებით, რომელიც დებულობდა ამ მთავრობაში მონაწილეობას, რასაკვირველია პროლეტარიატის მთავრობა დევნას დაუწყებდა, მით უმეტეს რომ ეს პარტია ან ღიად ებრძოდა მას და ან უთანხმოების თესლს სთესდა მუშათა წრეებში.

მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციისადმი რწმენის უქონლობით ხსნიდენ ისინი ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღებას და ახლა გამოდიან როგორც ახალი ინტერნაციონალის დამფუძნებლები, რომელ ინტერნაციონალსაც დიდი სურვილი აქვს მსოფლიო რევოლიუციის ინტერნაციონალათ გახდომისა.

კ. რადეკი.

(შემდეგი იქნება).

ქრონიკა

მოსავლის პირი. გომბორიდან იუწყებიან, რომ ხანგრძლივ გვალვის შემდეგ მოსულმა წვიმამ ყანების მდგომარეობა გამოაკეთა. მოსავლს კარგს მოელიან.

ხ ქალაქო რევკომი თბილისის ქალაქის რევკომის პრეზიდიუმის სხდომაზე საბინაო განყოფილების შესახებ გადასწყდა: ცენტრალური საბინაო განყოფილება გადაკეთდეს რევკომის კომუნალურ განყოფილების ქვე-განყოფილებათ, ცენტრალურ საბინაო განყოფილების კოლეგია გაუქმდეს და დაწესდეს მხოლოდ ქვე განყ ფილების გამგის თანამდებობა ორი თანაშეუწით, მაგე ქვე-განყოფილებასთან დაარსდეს სამი სექცია, სექცია სახლების მართველობის, საალმშენებლო-წეკეთების და აღმრიცხველ განმანაწილებელის.

საბჭოთა აღმშენებლობის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევა. ივლისის დამლევისათვის შინ. სახ. კომისარიატს განზრახული აქვს მოიწვიოს საბჭოთა აღმშენებლობასთან დაკავშირებულ კითხვების გასარჩევათ სამაზრო რევკომების წარმომადგენლები. შინ. საქ. სახ. კომისარმა გასცა სათანადო განკარგულება კომისარიატის მიმართ, რათა ის შეუდგეს ყრილობისათვის საბზადებს.

ადგილობრივ რევკომის რევიზია სურამისა და ხაშურის რევკომების მოღვაწეობის სარევიზიოთ გამგზავრებული საგანგებო კომისია უკვე დაბრუნდა თბილისში და შ ნ. საქ. სახ. კომ. წარუდგინა მოხსენება თავის მუშაობის შესახებ.

შ. ს. კომისარიატის მუშაობის გეგმა. შინ. საქ. სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა განყოფილებათა გამგეებს, რათა მათ ერთი კვირის განმავლობაში წარმოუდგინონ მომავალი მუშაობის გეგმა.

მილიცია. თფილისის საქალაქო მილიცია გადაყვანილია სამხედრო ნაწილის მდგომარეობაზე. მილიციის სათავეში დგას უფროსი ამხ. ჩაქიძე, შტაბის უფროსი ამხ. თათეიშვილი, საოპერაციო ნაწილის უფროსი ამხ. ხოჯაშვილი, სამეურნეო ნაწილის უფროსი ამხ. თუმანოვი და კანცელარიის უფროსი ამხ. კილურაძე.

თეატრი და ხელოვნება

„პატარა კახი"

წინეთ, როცა უფრო ღარიბი იყო კლასიკური პიესებით ქართული რეპერტუარი, როგორც თარგმნილ, ისე ორგინალურით, მაშინ არ ყოფილა ის ავადმყოფობა: საარხივო პიესების გადმბით დადგმისა, როგორც დღეს არის.

ასევე აღვანიშნავთ: ქართველი მსახიობი, უფრო ახალგაზდები, რომლებიც ჰპადებენ უნუგუშობას, თავიანთი უგერული და კორძიანი გამოსვლებით.

მათში არ არის ცეცხლი, ტემპერამენტი ძების, საკუთარი სახის გამოჩენის უნარი. ამის დამამტკიცებელი ნიშანი უამრავია და განსაკუთრებით ერთი მაინც: როცა სცენაზე რამოდენიმე მოქმედნი პირნი იყრის თავს და მათ შორის როცა ორის პაექრობა იმართება, დანარჩენები დგანან მუმიებივით და სრულებით არ განიცდნან მას, რაც ხდება მათ გარშემო, ისინი შიშით ელიან ჯერს და სუფლიორის წყალობას, რომელსაც ულაზათოთ იმეორებენ. ქართველი მსახიობისთვის ხომ პირდაპირ ტრადედიაა, მეტრიანი ტექსტით (ლექსათ)დაწერილი პიესის რომელიმე როლში გამოსვლა. მაშინ მას სრულებით ეკარგება ისედაც უჩინარი ატრიბუტები არტისტიული შემოქმედების, ამას ზედ დაურთეთ ქართულის არ ცოდნა, ენის ბორძიკი და მოუხეშავი მოძრაობა. სხვათა შორის, ზემო ჩამოთვლილ ნაკლულევანებებით იყო აგრეთვე განსაბიერებული 27 ივნისს „პატარა კახი". ამ პიესაში მონაწილეთა ლაპარაკი მხოლოდ ტრაფარეტი იყო და ისიც უხეირო. რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება ხანდახან ზოგიერთების უცაბედი, თუ ბუნებრივი შტრიხები.

X.

შრომის სახ კომისარიატში.

ვაჭრობა 5 საათის ზემდეგ.

სანიტარულ, ტეხნიკურ და შრომის ინსპექტორთა სხდომაზე იხილეველნენ მუშების რიმალეების, მეხილეების მწვანილის გამყიდველების. და მეპურეების შეა მდგომრეობას. რათა მათვის ნება დაერთო ნორმალურ დროის შემდეგ ვაჭრობისა. ამასთანავე მეწვრილმანეები მეხილეები იმით ასაბუთებენ თავის შუამდგომლობას, რომ ხილი მალე ფუჭდებაო. თათბირი ისეთ დასკვნამდის მივიდა რომ ყველა საკითხს უნდა შეხედოთ შრომის დაცვის თვალსაზრისით და რომ იმ წარმოებაში, სადაც ორი წყება მუშაობს, ვაჭრობა შეიძლება დაშვებულ იქნას 5 საათის შემდეგო.

მოთხოვნლების უფლება.

სანიტარულ ტეხნიკურ და შრომის ინსტრუქტორთა თათბირმა დაადგინა, რომ წარმოება და ადმინისტრაციისადმი მოთხოვნილებათა წარდგენის უფლება შრომის ინსპექტორებთან ერთად ეძლევათ აგრეთვე ტეხნიკურ და სანიტარულ ინსპექტორებსაც.

გადახადის დადების უფლება.

სანიტარულ ტეხნიკურ და შრომის ინსპექტორთა თათბირმა შეამდგომლობა აღძრა, რათა ინსპექტორებს გადასახადის დადების უფლება მიეცათ.

ადგილობრივი სანიტარული მეთვალყურეობა,

წარმოებათა სანიტარულ მდგომარეობის მეთვალყურეობის საკითხის განხილვის დროს დადგინეს: ეს საქმე მიენდოს შრომის დაცვის ადგილობრივ კომისიებს.

საგანგებო ეპიდემიოლოგიურ კომისიის სხდომა.

22 ივნისს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მოწვეულ იყო ხვა და ხვა დაწესებულებათაგან წარმომადგენლების სხდომა, რომელნიც იწოდებიან ცენტრალურ ეპიდემიოლოგიურ საგანგებო კომისია. მას მიზნათ აქვს დასახული ხოლერის სასწრაფო ლიკვიდაცია. განსახილველად იყო შემდეგი საკითხები: ინფორმაცია, ორგანიზაციის მოკაწყობათ, სანიტარულ კვირის მოწყობა თბილისის გასაწმენდათ ამ კვირაში თფილისის წყლით აღჭურვა. სხდომამ გახსნა ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. კუჭაიძემ და ახსნა, რომ საქართველოს რევკომის მიერ ამ კომისიას მინიშნებული აქვს დიდი უფლებები საქართველოს მასშტაბით. შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა წინა სხდომის ოქმი სხვა და სხვა განხილულ საქმეებისა. ოქმი დამტკიცებული იქნა. ამის შემდეგ მოხსენება გაკეთა ინფორმაციის სახით ამხანაგმა კუჭაიძემ. მას დამატება გაუკეთა ამხ. ქ ქოძემ. მისი თქმით 12 ამა თვეს იყო პირველი შემთხვევა ხოლერის და 22 ამა თვემდის ქონდა სულ 10 შემთხვევას ადგილი, რომელშიდაც 4 უკვე გარდაიცვალა. ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა წყალსადენის წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ წყაროები, რომლებიც ქალაქში არიან, სჭიროებენ იზოლაციას და შეკეთებას. ქალაქის კვირის გაწმენდისთვის არჩეულ იქნა კომისია ხუთეულისაგან. მათ მიენდოთ დროს დანიშვნა და მისი მოხსენება საერთო კრებაზე. აგრეთვე გამოითქვა აზრი, რათა ამ გაწმენდაში მონაწილეობა მიიღოს ძალდატანებით გოლერვინაკის მტკეპნავმა ხალხმა. ამით დამთავრდა სხდომა. უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგები ძალიან გულგრილად ეპყრობიან ამ საქმეს, რაც არა სასიამოვნოა, საჭიროა ამ საქმეს ფრიად ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რათა ამ სენმა ფართო ხასიათი არ მიიღოს,

ტ. ხვანძე

პარტიული ცხოვრება

მე 4-ე რაიონის პოლიტკომთა პრეზიდიუმის თათბირზე.

მე-4 ე რაიონის პოლიტკომთა პრეზიდიუმის თათბირზე ამხ. კიკნაძე გამოვიდა მოხსენებით წარმოებითი პროფკავშირთა როლისა და მიზნების შესახებ გაატარა რა პარალელი კავშირის მოღვაწეობას წარსულსა და საქართველოს გასაბჭოებამდე აწმყოს შორის, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წარსულში კავშირის მუშაობა მიმართული იყო უმთავრესად მშრომელთა ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუჯობესებლად იმ დროს, როდესაც წარმოებით მოქმედებას მეტად მცირე ყურადღება ჰქონდა მიქცეული. საბჭოთა კავშირებში კი სხვა საზრუნავს გარდა მისდევენ საწარმოვო მიზანს, წარმოების განვითარებას. მომხსენებელი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ჩვენი წარმოება დაეცა 70 ით და მეტი პროცენტით. წარმოების ნაყოფიერების ასაწევად მომხსენებელი ასახელებს ორ: მეთოდს მეთოდი ჩაგონებისა და მეთოდი იძულებისა. პირველს ახასიათებს პარტიულ მუშაკთა და კომიჩეკების მუშაობას და ამასთანავე უკანასკნელის მოვალეობას შედგენს პოლიტიკურ ხასიათის ფუნქციებს გარდა, წარმოების შესწავლა, მომარაგებას სახით მუშაობის ახალ მეთოდით და სხვა. პირადი მაგალითი ამ

ეროვნული არქივი

ბიბლიოგრაფია

— ბიბლიოგრაფიის ისტორია. ნაწ. I—II. ტფილისი—ტფილისის უნივერსიტეტის სტამბა, 22. (ბიბლ. ბიბლიოთ.) 8—74.

— ხელ. კოლექციონერის ალმანახი. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, №№ 22.

— ხელ. კოლექციონერის ალმანახი. ნაწ. I—II. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. 1—33.

— ნი-ლი ჩითითის ბიბლიო—ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 136, ფას. 87. ტირაჟი № 3—69.

— ნი-ჭ-ნე ჩითითის ბიბლიო—ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 29, ფას. 3—53.

— ნი-ჭ-ნე ჩითითის ბიბლიო—ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 47, ფას. 3—58.

— ნი-ჭ-ნე ჩითითის ბიბლიო—ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 29, ფას. 3—53.

— ხელ. ჩითითი ბიბლიოგრაფია. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 22.

ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნები.

მარტივად, 4 ივლისს, ხელმისაწვდომი 8 საათიდან 8 ზე ნოვოსიბირსკი რევოლუციონერი—ფურც. №. 48—ზე ნოვოსიბირსკი რევოლუციონერის პირველ-პარტიული სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი 1 ცალი.

პროფესიონალური ეკონომიკური ორგანიზაციების ბიბლიოთეკის ინფორმაციული ბიულეტენი. ტფილისი, 1921. ფურც. 16.

ეკონომიკის ისტორიის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინდექსი. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 32.

ბიბლიოგრაფია

ახალი წიგნები.

მარტივად, 4 ივლისს, ხელმისაწვდომი 8 საათიდან 8 ზე ნოვოსიბირსკი რევოლუციონერი—ფურც. №. 48—ზე ნოვოსიბირსკი რევოლუციონერის პირველ-პარტიული სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი 1 ცალი.

პროფესიონალური ეკონომიკური ორგანიზაციების ბიბლიოთეკის ინფორმაციული ბიულეტენი. ტფილისი, 1921. ფურც. 16.

ეკონომიკის ისტორიის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ინდექსი. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 1921. ფურც. 32.

— ხელ. კოლექციონერის ალმანახი. ნაწ. I—II. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 22. (ბიბლ. ბიბლიოთ.) 8—74.

— ხელ. კოლექციონერის ალმანახი. ტფილისი—ტფილისის სახელმწიფო სტამბა, 22. ფურც. 22